2017-2018

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

გორი

2018 წ.

სარჩევი

შესავალი----------3

სტრატეგიული მიზანი 1.----------4

სტრატეგიული მიზანი 2.----------5

სტრატეგიული მიზანი 3.----------6

სტრატეგიული მიზანი 4.----------7

სტრატეგიული მიზანი 5.----------8

შესავალი

საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სამოქმედო გეგმა 2017-2018 წწ მომზადდა შესრულების ანგარიში.

სამოქმედო გეგმა შეიქმნა სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე და ასევე კითხვარების ანალიზის შედეგად რომელსაც ახორციელებს კოლეჯი . (სტუდენტთა გამოკითხვა,პროფესიული მასწავლებლის გამოკითხვა,დამსაქმებლის გამოკითხვა)

სამოქმედო გეგმა შემუშავდა და წარედგინა პროფესიულ მასწავლებლებს, დამსაქმებლებს, ადმინისტრაციას, მოხდა განხილვა, რის შემდეგაც დამტკიცდა დირექტორის მიერ.

სამოქმედო გეგმა შედგება სტრატეგიული მიზნებისგან:

1. სტრატეგიული მიზანი N1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესება
2. სტრატეგიული მიზანი N2. პროფესიული საგანმანათლებლო, სასერტიფიკატო და გადამზადების პროგრამები
3. სტრატეგიული მიზანი N3. ხარისხის უზრუნველყოფა
4. სტრატეგიული მიზანი N4. სტუდენტები და მათი მომსახურება
5. სტრატეგიული მიზანი N5. საორგანიზაციო პროცედურები

- თითოეული სტრატეგიულ მიზანში შემავალი ამოცანები წარმოადგენს სამოქმედო გეგმის მთავარ ამოცანას.

სტრატეგიული მიზანი N1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესება

ამოცანა	მიღწეული შედეგები	შესრულების შეფასება
1.1 . სასწავლო და დამხმარე ფართის, ასევე კოლეჯის ეზოს კეთილმოწყობა	ეზოში დაირგო ხეები და ყვავილები კეთილ მოეწყო რეკრიაციული ზონა	შესრულდა. გაგრძელდება სამომავლოდ
1.2 კაბინეტ -ლაბორატორიების (მათ შორის კომპიტერული ლაბორატორიის) და ბიბლიოთეკის ინვენტარის სრულყოფა	მოეწყო და განახლდა ლაბორატორია ,პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამისათვის შეძენილ იქნა მოდულისათვის შესაბამისი ინვენტარი ,მასალა- ნედლეული.	შესრულდა. გაგრძელდება სამომავლოდ
1.3 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება	ბიბილიოთეკა შეივსო ახალი წიგნადი ფონდით : 33 საინვენტარო ნომრით ასევე ევროორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტმა კოლეჯს უსასყიდლოდ გადასცა წიგნები. ს აზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ბიბლიოთეკას წიგნის ავტორმა ქალბატონმა თამილა კეკოშვილმა საჩუქრად გადასცა საავტორო წიგნი ,,ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის საფუძვლები"	სრულად შესრულდა გადამოწმება-სრულყოფა მომავალ წლებშიც გაგრძელდება.
1.4 სანიტარულ-ჰიგიენური წერტილების,ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება-სრულყოფა	2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისისატვის შემოწმდა სანიტარულ-ჰიგიენური შშმ და სსსმ პირებისთვის.მოეწყო შესაბამისად, სველი წერტილები უზრუნველყოფს სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვას. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის ცეცხლმაქრები ვარგისიანობაზე გადამოწმდა .პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის შეძენილ იქნა ახალი მედიკამენტები, ვადაგასული მედიკამენტები კი განადგურდა.	სრულად შესრულდა გადამოწმება-სრულყოფა მომავალ წლებშიც გაგრძელდება.
1.5 გათბობის სისტემის გადამოწმება-სრულყოფა	შემოწმდა და წესრიგში იქნა მოყვანილი გათბობის სისტემა	სრულად შესრულდა გადამოწმება-სრულყოფა მომავალ

		წლებშიც გაგრძელდება.

სტრატეგიული მიზანი N2. პროფესიული საგანმანათლებლო, სასერტიფიკატო და გადამზადების პროგრამები

ამოცანა	მიღწეული შედეგები	შესრულების შეფასება
2.1 ექთნის თანაშემწისა და ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მილევად რეჟიმში გადაყვანა	მოხდა ექთნის თანაშემწისა და ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მილევად რეჟიმში გადაყვანა 28 .09.17 ბრძანება # 64	სრულად შესრულდა
2.2. პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და ავტორიზაციის გზით დამატება	2018 წლის 29 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის #1 გადაწყვეტილებით მოხდა ავტორიზაციის გზით პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება	სრულად შესრულდა
2.3. ფარმაცევტის თანაშემწის მოდულური პროგრამის შემუშავება და ავტორიზაციის გზით დამატება	2018 წლის მაისში დამტკიცებული პროფესიული პროგრამა ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროგრამაზე მიმდინარეობს მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამების დამატების უფლება კოლეჯს ენიჭება წლის ნებისმიერ დროს პროგრამის დამატების განაცხადის წარდგენის გზით. 1-5 პროგრამის ჩათვლით ღირებულება 4999ლარი აქედან გამომდინარე კოლეჯი მუშაობს 5 პროგრამაზე და 2019 წლის გაზაფხულზე დაიმატებს აღნიშნულ პროგრამებს .	იქცა სამომავლო გეგმად

2.4 შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი მოდულური, გადამზადების და/ან სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება და დანერგვა	დაინერგა სასერთიფიკატო პროგრამა „ავადმყოფის მოვლის ძირეული საკითხები კინესტეტიკის ელემენტებით". რომლის ხელმძღვანელი და ტრენერიც გახლავთ კინესთეტიკის ასოციაციის პრეზიდენტი ქალბატონი შუქია ჭინჭარაული. 2 და 7 მაისს, გორის საზოგადოებრივი კოლეჯის "ამაგის" მიწვევით, პედაგოგმა შუქია ჭინჭარაულმა და მისმა ასისტენტმა შორენა რამიშვილმა ექთნის ასისტენტისა და პრაქტიკოსი ექთნის ფაკულტეტის სტუდენტებს ჩაუტარეს ტრენინგი თემაზე: "ავადმყოფის მოვლის ძირეული საკითხები კინესტეტიკის .ელემენტებით.	შესრულდა. გაგრძელდება სამომავლოდ

სტრატეგიული მიზანი N3. ხარისხის უზრუნველყოფა

ამოცანა	მიღწეული შედეგები	შესრულების შეფასება
3.1 სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართვას, ინოვაციური აზროვნების წახალისებას, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას და შეფასების ობიექტური, სამართლიანიდა გამჭვირვალე პროცედურების დანერგვას	2017 წლის სასწავლო წლისათვის მოხდა სილაბუსებში შეფასების სისტემის დახვეწა და სტუდენტენტთა აქტიურად ჩართვის მიზნით გაიზარდა პრაქტიკულ მეცადინეობის წილი .პრაქტიკის დღიურის შეფასება ჩაიშალა კონპონენტებად . რამაც საშუალება მისცა ნათელი წარმოდგენა ქონოდა სტუდენტს თუ რა კონპონენტებზე უნდა გაემახვილებინა ყურედღება .ამან ხელი შეუწყო პრაქტიკული უნარ - ჩვევების დახვეწას.	სრულად შესრულდა
3.2. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვების ჩატარება	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 6 თვეში ერთხელ ხდებოდა სტუდენტების გამოგითხვა სწავლის პროცესთან დაკავშირებით მის დახვეწის უზრუნველსაყოფად.	სრულად შესრულდა კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვას სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

3.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული განახლება სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით	• გადაიხედა და განახლდა პროფესიული პროგრამები	სრულად შესრულდა
3.5 მილევადი საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული გადასინჯვა სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე ორიენტირებულობის თვალსაზრისით	• გადაიხედა და განახლდა პროფესიული პროგრამები	სრულად შესრულდა
3.5. პროფესიული მასწავლებლების გადამზადება-პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	• **26** თებერვალს **2018** წელს პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფითან კოლეჯის ექსპერტმა ციური დურულმა ჩაატარა ტრენინგი სწავლის შედეგისა და კრიტერიუმების ,ასევე შეფასების ინსტუმენტების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ პროფესიული მასწავლებლები (ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი"სს დედათა და ბავშვთა ცენტრი ,,იავნანა • **24** მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ,,მოდულური/დუალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის" ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა შიდა მხარდაჭერის ჯგუფების ფუნქციონირების შესახებ • **2018** წლის **17-18** მაისს ჩატარდა ტრენინგი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით.ტრენინგების მიზანი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაძლიერება.ტრენინგს უმასპინძლა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმი • საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში **22-23** მაისს ვიზიტით იმყოფებოდა გარე მხარდაჭერის ექსპერტი ქალბატონი ნინო ბალანჩივაძე, შეხვედრაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან განხილული იყო	სრულად შესრულდა

	მოდულური პროგრამა პრაქტიკოსი ექთნის მიმდინარე პროცესები. გაკვეთილზე დაესწრების შემდეგ გაკეთდა დადებითი შეფასებები. ასევე საუბარი იყო სხვა მნიშვნელოვან მიდგომებზე რომლებიც ხორციელდება მოდულური პროგრამის განხორციელების მხრივ.	

სტრატეგიული მიზანი N4. სტუდენტები და მათი მომსახურება

ამოცანა	მიღწეული შედეგები	შესრულების შეფასება
4.1 პროფესიული სტუდენტებისათვის კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებათა ორგანიზება	• 2017 წლის 20 ოქტომბერს კოლეჯის სტუდენტებმა მოინახულეს თბილისის ბოტანიკური ბაღი და გაეცვნენ მასში წარმოდგენილ საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ფლორის მდიდარ კოლექციებს. • პრაქტიკოსი ექთნის და ექთნის თანაშემწის სტუდენტებმა დიდ ხუთშაბათს მოინახულეს ფერიცვალების მონასტერითან არსებული ჰოსპისი , სტუდენტები გაეცვნენ მოვლის მიდგომებს.	სრულად შესრულდა
4.2.მედიკოსთა კლუბის შექმნა და ფუნქციონირება	• შეიქმნა მედიკოსთა კლუბის ზოგადი დებულება და დამტკიცდა კლუბის წევრების მიერ , ადმინისტრაციის წარდგინებით ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამის სტუდენტი ჯული არჩუაძე აირჩა მედიკოსთა კლუბის ლიდერად. • კლუბის წევრებმა გამოხატეს მოსაზრებები და დაიგეგმა კლუბის მუშაობის რეჟიმი.	სრულად შესრულდა

4.3. პოტენციურ დამსაქმებლებთან პროფესიული სტუდენტების შეხვედრის ორგანიზება მათი შემდგომი დასაქმების მიზნით	• 3 მაისს შიდა ქართლში, ქ. გორში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა ბიზნეს ომბუდსმენის ორგანიზებით სტუდენტთა კოლეჯებსა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. განხილული იქნა ბრძანების ახალი პროექტის პრეზენტაცია, რომელიც გულისხმობს პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომებს პრაქტიკის ობიექტებთან. • 06.06.18 საზოგადოებრივი კოლეჯის ორგანიზებით მოეწყო შეხვედრა სააფთიაქო ქსელ ბარბარეს დამფუძნებელთან რომელმაც გამოთქვა სურვილი პრაქტიკის დასრულების შემდეგ ანაზღაურებად სამსახურში აეყვანა კოლეჯის 7 წარმატებული სტუდენტი.	სრულად შესრულდა
4.4. სტუდენტთა პროფესიული და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კონფერენციებში, პროფესიონალთა მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში და სხვა.	28.12.17 ჩატარდა საახალწლო ღონისძიება სადაც მოეწყო სხვადასხვა სახის შეჯიბრებები როგორსც სპორტული ასევე ინტელექტუალური თანამშები	სრულად შესრულდა
4.5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება/ უზრუნველყოფა	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის მოეწყო და შეიღება საპირფარეშო .	სრულად შესრულდა
4.6 კვების ობიექტის ამოქმედება	გამოკითხვის შედეგად კვების ობიექტის არსებობა არ გახდა საჭირო. მოეწყო სასადილო ოთახი სტუდენტებისათვის ვაიფაის და ინტერნეტის მომსახურებით	შესრულდა. გაგრძელდება სამომავლოდ

სტრატეგიული მიზანი N5. საორგანიზაციო პროცედურები

ამოცანა	მიღწეული შედეგები	შესრულების შეფასება
5.1 ღია კარის დღეების ორგანიზება, პროფორიენტაციის ღონისძიებების მოწყობა, ვიზიტების განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	• 2018 წლის აპრილში მოეწყო კვირეული შიდა ქართლის რეგიონში არსებულ საჯარო და კერძო სკოლებში. პროფესიულმა პასწავლებლებმა ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს გააცნეს კოლეჯში არსებული პროგრამები. • 2018 წელს დაიდო მემორანდუმი გორის # 7 საჯარო სკოლასთან	შესრულდა. გაგრძელდება სამომავლოდ
5.5. ავტორიზაციისათვის მზადება განაცხადის წარდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში	06.10.17 ავტორიზაციისათვის მომზადდა და განაცხადი წარედგინა **სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს . 2018 წლის 29 იანვარს კოლეჯს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის # 1 გადაწყვეტილებით მიენიჭა 6 წლით ავტორიზაცია.**	სრულად შესრულდა
5.6.მასწავლებლების შერჩევა/ხელშეკრულებების განახლება	პროგრამების დამატების მიიზნით მოწვეულ იქნენ პედაგოგები დაიდო ხელშეკრულებები	შესრულდა. გაგრძელდება სამომავლოდ

5.7 შიდა ნორმატიული რეგულაციების განახლება	გადაიხედა და განახლდა შიდა ნორმატიული რეგულაციები	**შესრულდა. გაგრძელდება სამომავლოდ**